სტრატეგიული განვითარების გეგმა

MILLENNIUM SCHOOL

ათასწლეულის სკოლა

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ათასწლეულის სკოლის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული შინაარსის დოკუმენტს, რომელიც ასახვს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან მიზნებს და მის მისაღწევად შესაბამის ამოცანებს.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმარებისას ეყრდნობა სკოლის ფილოსოფიას, გარემოს ანალიზს და სკოლის SWOT ანალიზს, სკოლის თვითშეფასებას და სასკოლო საზოგადოების მისწრაფებებს და ინტერესებს.

სტრატეგიული დაგეგმვა მიზნად ისახავს სკოლის რესურსების ეფექტურად გამოყენებას და სკოლის განვითარებას მისი ხედვის და მისიის შესაბამისად.

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სკოლა ახდენს საკუთარი რესურსების მობილიზებას, საჭროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების მოზიდვას და ეფექტურად გამოყენებას. გარდა იმისა, რომ სტრატეგია ხელს უწყობს სკოლას მიზნების მიღწევის თეორიულად და თანმიმდევრულად დაგეგმვას, გეგმაზე მუშაობის პროცესი ქმნის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის კარგ პრაქტიკას, ხდენს კონკრეტულ მიზნებზე და ამოცანებს მათ ერთობლივად ფოკუსირებას და აუმჯობესებს კოორდინაციას, რაც ეხმარება სკოლას დასახული მიზნების მიღწევაში.

„ათასწლეულის სკოლის“ შესახებ

„ათასწლეულის სკოლამ“ შექმნა თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა და ფუნქციონირება 2016 წლიდან დაიწყო ახალ ლოკაციაზე, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

სკოლას ჯერა, რომ თითოეული მოსწავლე უნიკალურია და აქვს მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები, მთავარია, მათი ნიჭის და შესაძლებლობების აღმოჩენაში დახმარება და განვითარებისთვის კარგი ნიადაგის შექმნა. ამისათვის სკოლამ მოიზიდა და ასევე მუდმივად ეძებს კრეატიულ, განვითარებაზე ორიენტირებულ მასწავლებლებს, რომლებისთვისაც მასწავლებლობა გამოწვევაა და ყოველდღიურად ზრუნავენ სიახლეების დანერგვაზე. სწავლების ეფექტიანობის ასამაღლებლად სკოლაში დანერგილია საუკეთესო გამოცდილების შესწავლის და გაზიარების პრაქტიკა.

მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მათი მოტივირებისთვის განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ბავშვებისთვისათვის მიმზიდველი, პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებაზე. ამ მიზნით, მოეწყო არამხოლოდ აკადემიური, ასევე სპორტული და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა.

უსაფრთხო, დისკრიმიინაციისა და ძალადობისაგან თავისუფალი და ტოლერანტული გარემოს შემქნის მიზნით, სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გათვლილი სერვისები და დაცვის სისტემები, ფუნქციონირებს სამედიცინო მომსახურების სერვისი, ასევე, ფსიქოლოგიური უსაფრთხოების მიზნით, უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების ჩართულობა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ექსტრაკურიკულარული აქტივობების ფართო სპექტრს, მათი მრავალფეროვანი ინტერესების და მისწრაფებების შესაბამისად და ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოსაყალიბებლად.

სკოლისთვის წარმატების ერთ-ერთი საზომი მოსწავლეების, მშობლების და თანამშრომლების კმაყოფილებაა, რასაც მუდმივად იკვლევს. მოსწავლეების მიღების დინამიკა აჩვენებს რომ მოთხოვნა სკოლის სერვისზე ყოველწლიურად იზრდება.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

სკოლის ხედვაა, მუდმივად ინარჩუნებდეს პოზიციას მოთხოვნად სკოლებს შორის, რომლის კურსდამთავრებულებიც აცნობიერებენ საკუთარ შესაძლებლობებს, აქვთ მომავალი განვითარების მკაფიო ხედვა და მოტივაცია, ხედავენ საკუთარ როლს გარემოს პოზიტიურ ცვლილებებში.

სკოლის მისიაა, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის შექმნით, ახალი პროდუქტების შექმნის წახალისებით და ცოდნების გაზიარებით წვლილი შეიტანოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებაში და ღია საზოგადოების ფორმირებაში.

სკოლის ღირებულებები

ღიაობა:

მონაწილეობითი ღიაობა. განურჩევლად მისი ფორმალური სტატუსისა, სასკოლო საზოგადოების ყველა მონაწილეს აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად დააფიქსიროს პოზიცია.

რეფლექსიური ღიაობა. თუ მონაწილეობით ღიაობა, ჩვენი ფიქრების სხვებთან მიმართებაში გამოხატვას გულისხმობს, რეფლექსიური ღიაობა ჩვენი პერსონალური ფიქრების და მოსაზრებების საჯაროდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას გულისხმობს.

სკოლის გუნდის წევრებს ამ ღირებულების მნიშვნელობის დანახვაში შემდეგი უნარები ეხმარება:

○ აბსტრაქტული ნახტომების ამოცნობა - როცა ვამჩნევთ, თუ როგორ გადავდივართ დაკვირვებიდან განზოგადებაზე.

აბსტრაქციის ნახტომებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირდაპირი დაკვირვებებიდან (კონკრეტული მონაცემებიდან) განზოგადებაზე გადავდივართ. ეს ნახტომები ხელს უშლის სწავლას, რადგან ხანდახან აქსიომად აღიქმება მოცემულობა და მისი კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება აღარ ხდება. იმას, რაც ერთ დროს იყო დაშვება, აღვიქვამთ ისე, როგორც ფაქტს. სასკოლო სივრცეში ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი კონკრეტულ მომენტში, მოსწავლის მიერ გამოხატული ქცევა ზოგადდება და ყალიბდება დომინანტურ აზრად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლის სოციალური გარიყვა, სწავლის მოტივაციის დაცემა და ა.შ.

○ ჩაძიების და ადვოკატირების დაბალანსება

როდესაც შეგვიძლია პოზიციის გამოხატვისას გამოვააშკაროვოთ ჩვენი ფიქრების წყაროები და ამის შემდეგ მოვიწვიოთ სხვები მის განსახილველად, ხოლო მეორე მხრივ, სხვის პოზიციას მოვეკიდოთ ცნობისმოყვარეობით, ვეცადოთ მასში ჩაძიება.

○ მარცხენა სვეტის გამოვლენა (იმის სიტყვებით გამოხატვა, რასაც ზოგადად არ ვამბობთ ხოლმე)

ეს ტექნიკა გულისხმობს, როდესაც ვმიჯნავთ კონკრეტულ მომენტში რა ვთქვით და სინამდვილეში რას ვფიქრობდით. შეგვიძლია ავიღოთ ფურცელი და გავიხსენოთ წარსულში კოლეგასთან ჩავლილი დიალოგი, ერთ მხარეს ვწერთ რა ვთქვით, ხოლო მეორე მხარეს რას ვფიქრობდით იმ დროს. ის გვიჩვენებს, რიგ შემთხვევებში როგორ ვმანიპულირებთ სიტუაციებით, იმისათვის რომ თავი ავარიდოთ იმის გამჟღავნებას, თუ როგორც ვფიქრობთ და ვგრძნობთ სინამდვილეში.

მნიშვნელოვანია ორივე ტიპის ღიაობა, მონაწილეობითი და რეფლექსიური, სრულად იქნეს სასკოლო კულტურაში ინტეგრირებული, სხვა შემთხვევაში, ღირებულება ღიაობა, თანამშრომლობით ახლის სწავლის და შექმნის პროცესში, პოზიტიურ როლს ვერ შეასრულებს.

ერთგულება

როდესაც შეგვიძლია ჩვენი პირადი ან სტრუქტურული ერთეულის ინტერესის დათმობა და სანაცვლოდ საყოველთაო საგანმანათებლო ინტერესის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. გააზრება იმისა, რომ მოკლევადიან პერიოდში რაც ერთისთვის სასარგებლოა, გრძელვადიან პერიოდში მეორესთვის და მთლიანი სკოლისთვის შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს.

ხარისხზე ორიენტირება

სკოლა ორიენტირებულია უწყვეტ თვითშეფასებაზე და ისწრაფვის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები

სკოლა ქმნის საზოგადოებას, სადაც მისი თითოეული წევრი რაიმე ნიშნით განსხვავების მიუხედავად, იღებს საჭირო მხარდაჭერას.

სკოლა სკოლა მიიჩნევს, რომ ღირებულებების დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანია:

● ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭირვალობა, რათა გუნდის თითოეულმა წევრმა დაინახოს საკუთარი ქმედების გავლენა საერთო სურათზე

● სასკოლო სივრცის აღქმა, როგორც ურთიერთდაკავშირებულ და დინამიურად კომპლექსურ სისტემად და გააზრება იმისა, რომ გამომწვევი მიზეზი და შედეგი

შეიძლება დროში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად დაშორებული იყოს. ჩვენი დღევანდელი ქმედების შედეგი შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ დადგეს ან დღევანდელი პრობლემის მიზეზი, შეიძლება დიდი ხნით ადრე მომხდარი მოვლენებიდან მომდინარეობდეს.

სკოლის სტრუქტურა



სკოლა სტრატეგიის განხორციელებას გეგმავს საკუთარი ადამიანური რესურსით, სკოლაში დასაქმებულია 120-ზე მეტი თანამშრომელი, რომელიც ძირითად სამუშაო ამოცანებს გარდა, რეგულარულად არიან ჩართულები სკოლის განვითარების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

სკოლის სტრუქტურა და პერსონალის სამუშაო მიმართულებები ფარავს შემდეგ მიმართულებებს:

- სტრატეგიული დაგეგმვა, მონიტორინგი, შეფასება
- სასწავლო პროცესის მართვა
- ექსტრაკურიკულარული აქტივობები
- უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
- ხარისხის უზრუნველყოფა

- დოკუმენტბრუნვა
- პერსონალის მოზიდვა და განვითარება
- ინფრასტრუქტურის გამართულობა
- საზოგადოებასთან კომუნიკაცია
- ფინანსური მართვა და კონტროლი და ა.შ.

ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, სკოლა გეგმავს, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად დამატებით მოიზიდოს ადამიანური რესურსი, დაამყაროს კონტაქტები ახალ პარტნიორებთან და მიმართოს სხვა საშუალებებს.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა დაეფუძნა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და განხორციელებისათვის ხელიშემშლელი საფრთხეების კომპლექსურ ანალიზს.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი სკოლაში შემდეგ ეტაპებს მოიცავდა:

- სკოლის ხედვის, მისიის და ღირებულებების ჩამოყალიბება
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა
- სტრატეგიული მიზნების შესაბამისად სიტუაციური ანალიზების მომზადება და
- მიზნების მიღწევის კალენდარული გეგმის შედგენა, ამოცანების მიხედვით
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრა

ე.წ. SWOT ანალიზში გამოყენებულია სასკოლო საზოგადოების წევრებიდან მოპოვებული ინფორმაცია და შეფასებები. სკოლა რეგულარულად ატარებს თანამშრომლების, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვებს სკოლაში მიმდინარე პროცესების და შეთავაზებული სერვისების შესახებ, ცდილობს გამოავლინოს სკოლის ძიერი და სუსტი მხარეები, სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები, მოლოდინები და რეკომენდაციები.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ეტაპზე ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისი ინფორმაცია (კვლევის ანგარიშები და რეკომენდაციები), ასევე, დამატებით ჩაატარა გამოკითხვა სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

ძლიერი მხარეები	გასაუმჯობესებელი მხარეები
○ საავტორო საგნობრივი და არაფორმალური სასწავლო ერთეულები (სხვა დღე, კომპიუტერული აზროვნება, მეცნიერება (I-XII, მათემატიკა (I-IV, დასაქმება სასკოლო სივრცეში) ○ I-III კლასებში საგნობრივი რემედიაციის პროგრამა ○ დაგროვილი დისტანციური სწავლების გამოცდილება ○ სიმეტრიული თანამშრომლობითი კულტურა, სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს, ასევე, მასწავლებლებს და მოსწავლეებს შორის ○ შეთანხმებული გუნდური სწავლის და მენტალური მოდელების პრინციპები ○ სტრუქტურულ ერთეულებზე რესურსების მართვის და გადაწყვეტილებების ძალაუფლების დელეგირება ○ ახალი მასწავლებლების მხარდამჭერი პროგრამა ○ სკოლის ცნობადობა და ნდობა მის მიმართ ○ ინკლუზიური განათლების პრინციპების სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრირება	○ სკოლის მიზნებსა და სასწავლო ღირებულებებზე მორგებული შიდა სასწავლო ინფორმაციული სისტემის შემუშავების საჭიროება ○ მშობელთა ჩართულობის გაზრდა ○ დაწყებით და საბაზო/საშუალო ერთეულებს შორის ნაკლები თანამშრომლობა ○ შეფასების სისტემის სისუსტე ○ საბაზო/საშუალო საფეხურზე გადატვირთული საგნობრივი პროგრამები და საგნების სიმრავლე ○ სკოლაში შედარებით ახალი დასაქმებული მასწავლებლების პროფესიული განვითარება ○ საერთაშორისო პარტნიორობა
შესაძლებლობები	**მოსალოდნელი რისკები**
○ საავტორო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება ○ რემედიაციის პროგრამის სხვა კლასებზე გაფართოების შესაძლებლობა ○ ონლაინ სკოლის შექმნა ○ შაბათ-კვირის სკოლების შექმნა ○ მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრის შექმნა ○ მოსწავლეების მიერ დაარსებული სასკოლო სტარტაპების კომპანიებად ჩამოყალიბება და მათი განვითარების ხელშეწყობა ○ საბაზო-საშუალო საფეხურის სხვა სივრცეში გადატანა (ახალი კამპუსის აშენება) ○ მშობელთა კომიტეტის დაარსება, ბიუჯეტის გამოყოფა და მათი სკოლის განვითარებაში ჩართვა ○ საგნობრივი ჯგუფების ერთ	○ მოსწავლეების რაოდენობის ზრდასთან ერთად პროპორციულად კვალიფიციური მასწავლებლების მოზიდვის პრობლემა ○ ჩვენი სკოლის დახმარებით მასწავლებლის პროფესიაში შემოსული მასწავლებლების პროფესიიდან გასვლის რისკი ○ პოლიტიკურ-ეკონომიური რისკები, ინფლაცია, ლარის კურსის დევალვაცია, მშობლების გადამხდელუნარიანობის შემცირება ○ მოულოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები

სტრუქტურულ ერთეულებად ჩამოყალიბება ○ საქმიანი პროცესების აღმწერი დოკუმენტების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა პროცესის კოორდინაციას ○ საერთაშორისო პარტნიორების შეძენა	

სტრატეგიული განვითარების მიზნები

სკოლის მისიის, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის, განვითარების შესაძლებლობების და საფრთხეების გათვალისწინებით, განისაზღვრა ხუთი სტრატეგიული მიზანი:

სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება

სტრატეგიული მიზანი 2. სკოლის კურიკულუმის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 3. ინფრასტრუქტურის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 4. ადამიანური რესურსის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 5. მოსწავლის და კურსდამთავრებულის მხარდაჭერის სერვისის განვითარება

თითოეული სტრატეგიული მიზანი აერთიანებს მის მისაღწევად შესაბამის სტრატეგიულ ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს და მონაცემების შეგროვების წყაროებს, რაც დეტალურად განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმის დანართში და ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში.

სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება

სკოლა მიზნად ისახავს, დაგეგმვის პრაქტიკა მოაწესრიგოს იმგვარად, რომ სკოლის უწყვეტად და ეფექტურად ფუნქციონირებისათვის ხორციელდებოდეს პროცესების ეფექტურად მართვა. ასევე, პერიოდულად, მოხდება სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა, სკოლის გამოწვევებზე საპასუხოდ და მართვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, ასევე დაიგეგმა სკოლაში მიმდინარე ბიზნეს პროცესების აღწერა. დღეისათვის სკოლის ორგანიგრამაზე ასახული დაქვემდებარებები, ცხადია მოიაზრებს ანგარიშვალდებულებასაც, თუმცა, ყველა პროცესში არსებობს სტრქტურა/პირი, რომელიც შესაბამისი პროცესის კოორდინირებაზეა

პასუხისმგებელი. ასეთი პროცესების დეტალური აღწერა ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობს სკოლის ეფექტურ ფუნქციონირებას.

სტრატეგიის განხორციელების ვადაში, სკოლა ასევე უზრუნველყოფს ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლას, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის ოპტიმიზაციას, მატერიალური დანახარჯების შემცირებას, დავალებების ეფექტურად მართვას და ა.შ.

სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლის უწყვეტ თვითშეფასებას და გამოწვევებზე დროულ რეაგირებას. სკოლა ასევე გეგმავს, დანერგოს სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემა, რაც ხელს შეუწყობს მის განვითარებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი და ობიექტური შემფასებელი სკოლისთვის არის მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი/მშობელი, რომელთა ჩართულობის გაზრდას სკოლა განიხილავს როგორც ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საშუალებას. მომდევნო წლებში ერთ-ერთი სამუშაო მიმართულება იქნება სწორედ მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, დაფუძნდება მშობლების კლუბი, რაც გააუმჯობესებს მათ ერთმანეთთან და სკოლასთან კომუნიკაციას.

სკოლაში მოსწავლეების მიღების დინამიკამ დღის წესრიგში დააყენა მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდის აუცილებლობა. ამ მიზნით, დღის წესრიგში დადგა მოსწავლეთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის გადახედვის საჭიროება, რაც ახალი კამპუსის აშენების და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგაც განხორციელდება.

მიზნის მისაღწევად შესაბამისი ამოცანების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში.

სტრატეგიული მიზანი 2. სკოლის კურიკულუმის განვითარება

სკოლა გეგმავს, სასკოლო სასწავლო გეგმა განავითაროს იმ სახით, რომ **მოსწავლეები მეტად გახდნენ შეფასების პროცესის წარმმართველები.**

ამისათვის, გარდა მიზნების დასახვისა და პროცესში არჩევანის გაკეთებისა, გადამწყვეტია, რომ მათ შეძლონ საკუთარი პროგრესის მონიტორინგი. შეფასების პროცესში მოსწავლეების ამჟამინდელი ჩართულობა, მოსწავლეებს ნაწილობრივ აძლევთ ამ შესაძლებლობას, თუმცა ვფიქრობთ რომ გაუმჯობესების სივრცე დიდია დაამ მიმართულებით, სკოლის ამოცანები იქნება:

- **შეფასების პროცესის გააზრება:** დაიგეგმოს ინტეგრირებული სასწავლო ერთეული, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები გადაიაზრებენ შეფასების როლს საზოგადოებაში და უკეთ გაიაზრებენ სწავლის პროცესში მისი გამოყენების გზებს;
- **ინდივიდუალური უკუკავშირის შეხვედრები:** სასწავლო სემესტრის დაგეგვმისას განისაზღვროს პერიოდები ინდივიდუალური შეხვედრებისათვის მასწავლებელსა

და მოსწავლეებს შორის, რომელზეც მოსწავლე შეძლებს რეფლექსია გააკეთოს თავის პროგრესზე შეგროვილ მტკიცებულებებზე დაფუძნებით და მასწავლებელთან ერთად დაისახოს განვითარების შემდეგი მიზნები;

- **შეფასების ინსტრუმენტების განვითარება:** განისაზღვროს დრო კათედრებისათვის, რათა დაამუშაონ ამჟამინდელი შეფასების ინსტრუმენტები და შეიტანონ მათში ისეთი ცვლილებები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლეები მეტად შეძლებენ თავად იყვნენ შეფასების პროცესის წარმმართველები;
- **პროგრესის გაზიარება:** სკოლამ შეუქმნას მოსწავლეებს ისეთი სივრცეები, სადაც შეძლებენ თავიანთი პროგრესი და მიღწევები გაუზიარონ მათთვის მნიშვნელოვან ადამიანებს.

ერთ-ერთი მუდმივი პრიორიტეტია, ასევე, **სწავლების პროცესში, სოციო-ემოციური განვითარების კურიკულუმის ცენტრში მოქცევა.**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სოციო-ემოციური უნარების განვითარებაზე თითოეული მასწავლებელი უკვე მუშაობს, თანამშრომლობის პროცესში ჩანს, რომ მეტად გვჭირდება კურიკულუმის დამუშავება ამ პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კონკრეტულად კი ვგულისხმობთ, რომ ისეთი უნარები როგორებიცაა მედეგობა, პასუხსიმგებლიანობა, ინტერესი, თითოეული სასწავლო გამოცდილების ნაწილი იყოს. ვფიქრობთ, რომ ამ მიზნის მიღწევა ერთი მხრივ, თავად მოსწავლეებს დაეხმარებათ უკეთ განივითარონ ზემოხსენებული უნარები, ხოლო მეორე მხრივ, გაამარტივებს სკოლის სხვადასხვა გუნდებს შორის თანამშრომლობის პროცესს, რადგან თითოეულ მათგან უფრო მკაფიოდ ექნება გააზრებული თავისი როლი საერთო მიზნების მიღწევისათვის.

მიზნის მისაღწევად, საჭიროა:

- **კურიკულუმის მოდიფიცირება:** ამჟამინდელი საგნობრივი კურიკულუმი ისეთ სასწავლო პრინციპებზეა ორიენტირებული, რომ ისინი ბუნებრივად უწყობენ ხელს მოსწავლეებში სოციო-ემოციური უნარების განვითარებას. კურიკულუმის მოდიფიცირებაში ვგულისხმობთ არა თავისთავად სასწავლო შინაარსის გამოცვლას არამედ იმას, რომ მასწავლებლები მეტად დააკვირდებიან თუ რომელ სასწავლო ერთეულში რა სოციო-ემოციურ უნარებზე მიმდინარეობს მუშაობა და დაგეგმავენ თუ როგორ შეიძლება პროცესებზე სწორი რეფლექსიით მეტად დაეხმარონ მოსწავლეებს წინსვლაში.
- **სასწავლო პროცესში გადატანა:** იმისათვის რომ თითოეული ინდივიდის გააზრებები და გადაგეგმილი კურიკულუმები ეფექტიანად დაინერგოს, სასწავლო წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი იქნება გაიწეროს კლასობრივი შეხვედრების შინაარსი ისე, რომ გუნდის წევრებმა წლის განმავლობაში შეძლონ ერთმანეთის დახმარებით რეფლექსირება იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ცვლილებები და რისი გამოსწორებაა საჭირო პროცესში.

ამოცანების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში.

სტრატეგიული მიზანი 3. ინფრასტრუქტურის განვითარება

საბაზო-საშუალო საფეხურის სკოლაზე მორგებული ახალი შენობის აშენება, რომელიც უკეთ შეუწყობს ხელს სკოლის მისიის რეალიზებას:

იქიდან გამოდმინარე, რომ მომავალ წლებში მაღალ საფეხურზე უფრო მეტი მოსწავლე გვეყოლება, ვიდრე გასულ პერიოდში, ჩვენი ერთ-ერთი მიზანია, მათთვის სკოლის ახალი სივრცის შექმნა, რომელიც უკეთ დააკმაყოფილებს მათ საჭიროებებს და მეტად მოერგება ჩვენი სკოლის სასწავლო მიდგომებსა და ღირებულებებს.

აღნიშნულის განხორციელების პროცესში, უზრუნველყოფილი იქნება:

- **მოსწავლეების და მასწავლებლების ჩართულობა:** გამოვიყენოთ ახალი სკოლის შენობის მშენებლობა როგორც შესაძლებლობა, და მთლიანად ჩავრთოთ მოსწავლეები და მასწავლებლები შენობის კონცეფციისა და დაგეგმარების პროცესში. ეს ერთის მხრივ კიდევ ერთი თანამშრომლობისა და სწავლის შესაძლებლობა იქნება თითოეული მათგანისთვის, მეორეს მხრივ უზრუნველყოფს, რომ ახალი სკოლის შენობა სწორედ იმ ადამიანებზე იყოს მორგებული ვინც სკოლის ცენტრია და ამასთან ერთად გაზრდის სასკოლო საზოგადოების წევრებში კუთვნილების განცდას სკოლის შენობის მიმართ;
- **თანამშრომლობაზე ორიენტირებული სივრცე:** სასკოლო სივრცეში გავითვალისწინოთ სასკოლო სიმეტრია, რაც გულისხმობს რომ მასწავლებლები ერთმანეთთან იმავე პრინციპებით თანამშრომლობენ რა პრინციპებითაც მოსწავლეები. ეს გულისხმობს იმას, რომ სკოლაში ბევრი საერთო სათანამშრომლო სივრცე იყოს, სადაც მოსწავლეებს და მასწავლებლებს ერთად შეეძლებათ ღირებული საქმის კეთება;
- **შევქმნათ მულტიფუნქციური სასწავლო სივრცეები:** იქიდან გამომდინარე, რომ სასწავლო შინაარსი ძალიან მრავალფეროვანია, ერთ-ერთი ამოცანაა რომ რაც შეიძლება მეტად შეუწყოს ხელი სასწავლო სივრცემ ამ მრავალფეროვნებას, უფრო კონკრეტულად კი იყოს მოქნილი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა იმჟამინდელი საჭიროებების შესაბამისად მოირგონ გარემო;

მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ცენტრისათვის შესაბამისი ფიზიკური გარემოს შექმნა: მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პროფესიული ცენტრისათვის შესაბამისი ტიპის მოქნილი სივრცის მომზადება, რომელიც ერთის მხრივ კომფორტულ და მშვიდ სივრცეს შეუქმნით პროგრამის მონაწილეებს, ხოლო მეორეს მხრივ უბიძგებთ ახალი აღმოჩენებისა და თანამშრომლობისკენ.

მიზნის მისაღწევად შესაბამისი ამოცანების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში.

სტრატეგიული მიზანი 4. ადამიანური რესურსის განვითარება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება: პირველ რიგში, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, მასწავლებლებმა გაიღრმავონ ცოდნა სოციო-ემოციური უნარების მიმართულებით.

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება. ჩვენი მისიიდან გამომდინარე, სკოლისათვის მნიშვნელოვანი იქნება მასწავლებლების პროფესიული განვითარებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადმა და პროფესიული ცენტრის შექმნა, რომელიც მასწავლებლებს დაეხმარებათ, უკეთ შეძლონ თავიანთი საგანმანათლებლო ხედვების გადააზრება და მათი დანერგვა სასკოლო გარემოში.

რატომ: ეს მიზანი რამდენიმე კუთხით იქნება მნიშვნელოვანი:

- პროფესიული ცენტრის პროგრამის გავლის შემდეგ, მასწავლებლები სწორედ „ათასწლეულის სკოლის“ სწავლა-სწავლების მიდგომებით მუშაობისთვის იქნებიან მზად, რაც გაამარტივებს ახალი მასწავლებლების სკოლაში დასაქმების პროცესს და გაზრდის სწავლების ხარისხს;
- სკოლის გუნდის ნაწილისათვის პროფესიული განვითარების ცენტრში მოღვაწეობა კარიერის შემდეგი ნაბიჯი იქნება, რომლითაც შეძლებს კვლავ დარჩეს „ათასწლეულის სკოლის“ გუნდში და პარალელურად შეეჭიდოს ახალ გამოწვევებს;
- ჩვენი წარმოდგენით, პროფესიული ცენტრი ბევრი ახალგაზრდისათვის მეტად საინტერესოს გახდის მასწავლებლის პროფესიას და ცენტრში მომზადებული პედაგოგები არა მარტო ჩვენი სკოლისათვის, არამედ ზოგადად საქართველოს სკოლებისათვის იქნება შენაძენი.

საჭირო ღონისძიებები:

- **კურიკულუმის შემუშავება:** შევქმნათ კურიკულუმი, რომლის დახმარებითაც პროფესიული ცენტრის სწავლების ფორმატი მთლიანად იქნება დაფუძნებული იმ სწავლა-სწავლების პრინციპებზე რომლებსაც სკოლაში ვიყენებთ:
    - სასწავლო ერთეულებში მომავალი მასწავლებლები გამოცდიან იმ სწავლების მეთოდებს, რომლებითაც ბავშვებთან ვმუშაობთ და თვითონ იქნებიან რეალური საქმის კეთებაში ჩართულები;
    - მონაწილეებს ჰქონდეთ სივრცე ფასილიტირებული დიალოგებისთვის, რომელთა ფარგლებშიც კოლეგებთან ერთად ჩაუღრმავდებიან საგანმანათლებლო იდეებს და გადაიაზრებენ საკუთარ სასწავლო გამოცდილებებს;
    - მონაწილეებს ჰქონდეთ საშუალება პრაქტიკულად იყვნენ ჩართულები სწავლების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში;

- **სასწავლო კულტურის ჩამოყალიბება:** პროფესიულ პროგრამაში მონაწილეობის პროცესშივე უზრუნველვყოთ თითოეული მონაწილისათვის თანამშრომლობითი, განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო კულტურა, რომელსაც ისინი სკოლაში მუშაობისას გადაიტანენ;
    - მონაწილეები მთლიანი პროცესის განმავლობაში იყვნენ ჩართულები თვითრეფლექსიისა და უკუკავშირის გაცემის პროცესში;
    - მონაწილეებს ჰქონდეთ საშუალება იყვნენ მკვლევარები და თავიანთი სასწავლო გამოცდილების ფარგლებში თავად შექმნან ახალი ცოდნები;
- **ქოუჩი მასწავლებლების მომზადება:** დავეხმაროთ ჩვენი სკოლის ამჟამინდელ მასწავლებლებს, პროფესიულად მოემზადნონ მსგავსი პროგრამის წარსამართად; ეს შეიძლება გულისხმობდეს ონლაინ კურსების გავლას საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად.

სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანების შესახებ ინფორმაცია ასახულია დანართში.

სტრატეგიული მიზანი 5. მოსწავლის და კურსდამთავრებულის მხარდაჭერის სერვისის განვითარება

სკოლა მიზნად ისახავს, მოსწავლეების და სკოლის კურსდამთავრებულებისათვის განავითაროს დამატებით საკონსულტაციო სერვისი, რაც ხელს შეუწყობს მათ სწავლის გაგრძელებაში არამხოლოდ საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ.

სკოლაში ასევე მოეწყობა პროფესიული ორიენტაციის დღეები. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, შეხვდნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს, რაც ხელს შეუწყობს მათ გააზრებული არჩევანის გაკეთებაში.

იმის გათვალისინებით, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს სამეწარმეო უნარების განვითარებაზე და უკვე სკოლის მოსწავლეებს აქვთ იდეები და სკოლის ბაზაზე ქმნიან ე.წ. სტარტაპებს, სკოლა მიზნად ისახავს, მომდევნო წლების მანძილზე განავითაროს დამატებითი სერვისები და დაეხმაროს მოსწავლეებს/კურსდამთავრებულებს, სასკოლო სტარტაპები ჩამოაყალიბონ დამოუკიდებელ კომპანიებად.

სკოლა ასევე გეგმავს, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის კონტაქტების შენარჩუნებას, რათა მომავალში შეძლონ ერთობლივი საქმიანობა ან/და ერთმანეთის დახმარება.

ამოცანების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია დანართში.

სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის დანერგვა ხორციელდება დანართით განსაზღვრული კალენდრის შესაბამისად, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს და მის მისაღწევად განსაზღვრულ ამოცანებს, შესრულების პერიოდს, ინდიკატორებს და შესაბამისი მტკიცებულებების ჩამონათვალს.

ამოცანების განსახორციელებლად ყოველწლიურად განისაზღვრება შესაბამისი აქტივობები აუცილებელი რესურსები და მტკიცდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმების სახით.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს ერთი მხრივ, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შეფასებას, რა შესრულდა და რა ვერ შესრულდა, მეორე მხრივ, იმის განსაზღვრას, რამდენად მიიღწევა დასახული მიზნები.

ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი ადმინისტრაციის მენეჯერის, პედაგოგიური საბჭოს წევრების და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ჩართულობით.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის და შეფასების, ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე დაყრდნობით ან/და გაუთვალისწინებელი ფაქტორების და ახალი შესაძლებლობების და გამოწვევების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს.

დანართი

სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება									
სტრატეგიული ამოცანები	**განხორციელების ვადები**							**ინდიკატორი**	**მტკიცებულება**
	20221 წ. III-IV ჯ.	**2022 წ.**	**2023 წ.**	**2024 წ.**	**2025 წ.**	**2026 წ.**	**2027 წ. I-II ჯ.**		
ყოველწლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცება								შემუშავებული ყოველწლიური სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ყველა აუცილებელ პროცესს/აქტივობას სკოლის უწყვეტი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის	დამტკიცებული სამოქმედო გეგმა
სკოლის მართვის ეფექტიანობის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების დანერგვა								მართვის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმებით გათვალისწინებულია ყველა საჭირო ინდიკატორი და შეფასების პროცესში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა; შემოთავაზებული ცვლილებები რელევანტურია, პასუხობს საჭიროებებს	შეფასების ანგარიში; გატარებული/დამტკიცებული ცვლილებები და ღონისძიებები
სკოლის ბიზნეს პროცესების აღწერა								აღწერილია ყველა შესაძლო ბიზნეს პროცესი (გარდა იმ პროცესებისა, რომელთა	ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი

								წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია); აღწერისას გათვალისწინებულია სკოლაში არსებული პრაქტიკა და მოქმედი კანონმდებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
სკოლის თვითშეფასება								უზრუნველყოფილია თვითშეფასების უწყვეტობა, სკოლაში დანერგილი მექანიზმების გამოყენებით; უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების მონაწილეობა თვითშეფასების პროცესში	თვითშეფასების შედეგების შეჯამების ყოველწლიური ანგარიში
ელექტრონული საქმისწარმოების და დანერგვა								შერჩეული პლატფორმა უზრუნველყოფს სკოლის დოკუმენტბრუნვის შესაბამისობას სკოლის საჭიროებებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან	ელექტრონული საქმისწარმოების წესი; ხელშეკრულება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით სარგებლობის შესახებ
ელექტრონული საბიბლიოთეკო მოდულის დანერგვა								შერჩეული პლატფორმა უზრუნველყოფს სკოლის ბიბლიოთეკის საჭიროებების შესაბამის სერვისს	ხელშეკრულება ელ. საბიბლიოთეკო სერვისის მიწოდების შესახებ
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, დახვეწა								ხარისხის მექანიზმების შეფასება განხორციელებულია წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად, შემოთავაზებული ცვლილებები (ასეთის	სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების ანგარიში; გატარებული

								საჭიროების შემთხვევაში) რელევანტურია	ცვლილებები და ღონისძიებები
მშობელთა კლუბის დაარსება								შემუშავებულია მშობელთა კლუბის ფუნქციონირებისათვის შესაბამისი საშუალებები/მექანიზმები; ბიუჯეტში გათვალსიწინებულია შესაბამისი ხარჯები	განხორციელებული აქტივობები
მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება								მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლებისთვის აუცილებელ რესურსებს და სკოლის რესურსების ეფექტურად ათვისებას	მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვის დოკუმენტი
მეცნიერების, მათემატიკის და კომპიუტერული აზროვნების კათედრების, ინდიკატორების გაერთიანება, დარუკება, ოპტიმიზაცია								გაზრდილია თანამშრომლობის და ოპტიმიზაციის ხარიხი	კათედრების დოკუმენტაცია
საზ.მეცნიერებების და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრების, ინდიკატორების გაერთიანება, დარუკება, ოპტიმიზაცია								გაზრდილია თანამშრომლობის და ოპტიმიზაციის ხარიხი	კათედრების დოკუმენტაცია
მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა								სკოლის ავტორიზაციის პროცესში სკოლის რესურსებით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება
სკოლის ავტორიზაცია								უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის უწყვეტობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება

პერსონალის მოზიდვა								სკოლა საჭიროების შესაბამისად დროულად და ეფექტურად უზრუნველყოფს ახალი პერსონალის მოზიდვას	ფუნქციების უწყვეტად შესრულებისათვის
სტრატეგიული მიზანი 2. სკოლის კურიკულუმის განვითარება									
სტრატეგიული ამოცანები								**ინდიკატორი**	**მტკიცებულება**
მოსწავლის სოციო-ემოციური მიმართულებით უკეთ განვითარებისათვის კურიკულუმის განვითარება								კურიკულუმი განვითარებულია საუკეთესო პრაქტიკის და სკოლის გამოცდილების გათვალისწინებით	კურიკულუმი
შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლის გაზრდა								უზრუნველყოფილია მოსწავლის გაზრდილი როლი შეფასების პროცესში	სასწავლო პროცესის შეფასების შედეგები
"დასაქმება სასკოლო სივრცეში" საქმიანობების დაკავშირება საგნობრივ ინდიკატორებთან								"დასაქმება სასკოლო სივრცეში" დაკავშირებულია საგნობრივ ინდიკატორებთან	შესაბამისი საგნობრივი ინდიკატორები და განხორციელებული აქტივობები
რემედიაციის პროგრამის დანერგვა (ეტაპობრივად, 1-5 კლასის ჩათვლით)								რემედიაციის პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს შესაბამისი საჭიროების მქონე მოსწავლეების დახმარებას/ხელშეწყობას; გაუმჯობესების დინამიკა	რემედიაციის პროგრამა და ჩართული მოსწავლეების რაოდენობა
დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით მოსწავლეებისთვის ინგლისურენოვანი საგნების სწავლების შეთავაზება								შეთავაზებული ინგლისურენოვანი საგნები შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად	სასკოლო სასწავლო გეგმა
შაბათ-კვირის სკოლების შექმნა								პროგრამები შემუშავებულია წინასწარი საჭიროებების კვლევის გათვალისწინებით	შაბათ-კვირის სკოლების პროგრამები
საავტორო პროგრამების შექმნა და და სავტორო სკოლის								პროგრამების შემუშავებისას	შესაბამისი

სტატუსის მოპოვება								გათვალისწინებულია სკოლის პრაქტიკა, მისია და ხედვა	პროგრამები
სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და გამოცდილების გათვალისწინებით, ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება								უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის ყოველწლიური შეფასებან და ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით	სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შემაჯამებელი შედეგები; შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმები
სტრატეგიული მიზანი 3. ინფრასტრუქტურის განვითარება									
სტრატეგიული ამოცანები								**ინდიკატორი**	**მტკიცებულება**
სკოლის ახალი კამპუსის მშენელობა (საბაზო და საშუალო საფეხურის მიზნებისთვის)								შენობის დაგეგმარებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო სტანდარტი; მოსწავლეების/მასწავლებლების კმაყოფილების კვლევის შედეგები	შენობა-ნაგებობის ექსპლოატაცია; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თანხმობა სკოლისათვის ახალი ფართის დამატების თაობაზე
ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა								ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად მრავალფეროვანი სპორტული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას	სპორტის სახეობების ჩამონათვალი; მოსწავლეების/მშობლების კმაყოფილების კვლევის შედეგები
მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ცენტრისთვის ფიზიკური გარემოს განვითარება								შექმნილია კომფორტული გარემო სრულფასოვანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის	პროგრამის მონაწილეების კმაყოფილების კვლევის შედეგები
ავტორიზაციის მიზნით სარემონტო/საკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება									

სტრატეგიული მიზანი 4. ადამიანური რესურსის განვითარება									
სტრატეგიული ამოცანები								**ინდიკატორი**	**მტკიცებულება**
მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება (სოციო-ემოციური უნარების განვითარების საკითხებზე)								მასწავლებლები ფლობენ გაუმჯობესებულ ტექნიკებს მოსწავლეებში სოციო-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის; სკოლის კურიკულუმი უზრუნველყოფს შესაბამისი ამოცანის გადაწყვეტას	სკოლის კურიკულუმი; სასწავლო პროცესის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები
სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება (დაწყებით საფეხურზე ფოკუსირებით)								სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა საჭიროების შესაბამის, კონკურენტული პროგრამას	შესაბამისი პროგრამა; პროგრამის შეფასების შედეგები
სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება (საბაზო და საშუალო საფეხურებზე ფოკუსირებით)								სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა საჭიროების შესაბამის, კონკურენტული პროგრამას. შემუშავებისას გათვალისწინებულია დაწყებით საფეხურზე დანერგილი პროგრამის განხორციელების პრაქტიკა და შეფასების შედეგები	შესაბამისი პროგრამა; პროგრამის შეფასების შედეგები
პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა								უზრუნველყოფილია პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების შესაბამისად შესაბამისი ვორქშოფების, ტრენინგების ან/და სხვა ღონისძიებების შეთავაზება	გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი; პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილე პერსონალის რაოდენობა

სკოლის მასწავლებლებისთვის საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების მიღების შესაძლებლობის განვითარება								სკოლა უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობას და მასწავლებლებისთვის მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული სასწავლო ვიზიტების განხორციელებას	ღონისძიებაში ჩართული მასწავლებლების რაოდენობა
ახალი მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების პროგრამის შეთავაზება								უზრუნველყოფილია დამწყები, ე.წ. უსტატუსო მასწავლებლების პროფესიული განვითარება წინასწარშემუშავებული პროგრამის შესაბამისად	პროგრამაში ჩართული მასწავლებლების რაოდენობა და მათი საქმიანობის შეფასების შედეგები
სტრატეგიული მიზანი 5. მოსწავლის და კურსდამთავრებულის მხარდაჭერის სერვისის განვითარება									
სტრატეგიული ამოცანები								**ინდიკატორი**	**მტკიცებულება**
მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა საკონსულტაციო სერვისების დანერგვა და უწყვეტი ფუნქციონირება								უზრუნველყოფილია კონსულტირება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ქართული, უცხოური) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების და საჭირო პროცედურების შესახებ	მოსწავლეთა/კურსდამთავრებულთა რაოდენობა
თანამშრომლობის დამყარება საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან								სკოლა თანამშრომლობის მეშვეობით აწარმოებს საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დადგენილი მოთხოვნების შესწავლას და შესაბამის რეესტრს	შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა
მოსწავლის პროფორიენტაციის მიზნით ღონისძიებების								სკოლა უზრუნველყოფს	განხორციელებული

ორგანიზება								მოსწავლეებისათვის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზებას, მათი ინტერესების შესაბამისად	შეხვედრების რაოდენობა
სასკოლო ბაზაზე ჩამოყალიბებული სტარტაპების ხელშეწყობა								სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბებული სტარტაპების ბაზაზე დაფუძნებულია იურიდიული პირები	იურიდიული პირების დაფუძნების და საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბის განვითარების ხელშეწყობა								სკოლა აკავშირებს ახალი ნაკადის კურსდამთავრებულებს სკოლის ძველ კურსდამთავრებულებთან	კურსდამთავრებულთა კლუბის წევრების რაოდენობა